*დანართი №1*

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

### ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა

შეფასების თარიღ(ებ)ი: 05.06.07. დეკემბერი 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი :19.12.2022



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 215139892 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | * |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | * |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | * |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ფოთი |
| იურიდიული მისამართი | გურიის ქ. №1 |
| ფაქტობრივი მისამართი | გურიის ქ. №169 |
| საფოსტო ინდექსი | 4400 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | stnicschool.poti.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | tsmindanikolozi@gmail.com |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 599936563 |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | რექტორი იღუმენია ანა (მუსელიანი) ერში - მანანა მუსელიანი ადმინისტრაციის უფროსი - დეკანოზი თევდორე , ერისკაცობაში ივლიანე ბასილაია |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 599936563 |
| ელ-ფოსტა | m.tevdorebasilaia@mail.ru |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **ბრძანება N MES 2 22 0001493510 ( 22.11.2022 წელი)** |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 05,06,07, დეკემბერი, 2022 წ. |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | მაკა ჭიაბერაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | თეა გაბელაია |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

**ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი**

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | მუხლი 6/ პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | მუხლი 6/ პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 6/ პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | | | |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | | | |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
| --- | --- | --- |
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | .............. |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.2.* | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
| --- | --- | --- |
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | .............. |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | | |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *2.1.* | .............. |
| | *2.2.* | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | **დაწესებულებაში მიმდინარეობს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა-რევიზია, სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი და მკითხველთა კლუბი.** |

| | |
|---|---|
| **დაწესებულების მისია** | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მოწოდებულია შექმნას ჰარმონიული სასკოლო გარემო, სადაც მოზარდები ეზიარებიან ქრისტიანულ, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტურ იდეალებს.<br>სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით და ეროვნული სასწავლო გეგმით. ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, ცდილობს აქტიურად დანერგოს თანამედროვე პედაგოგიური მიდგომები და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები.<br>ჩვენი მიზანია აღვზარდოთ ქრისტიანი, თავისუფალი პიროვნება, კრიტიკულად მოაზროვნე აქტიური მოქალაქე, რომელიც შეძლებს თვითრეალიზებას და დემოკრატიულ საზოგადოებაში საკუთარი ადგილის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დამკვიდრებას, სახელმწიფოებრივ–საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას ქრისტიანული მრწამსის და მორალის გათვალისწინებით.<br>სკოლის განსაკუთრებული მისიაა, ბავშვებს დაეხმაროს და გააცნოს ქრისტიანული ოჯახის ღირებულებები, აზიაროს ქრისტიანულ კულტურას.<br>დასახული მიზნის მიღწევისათვის სკოლში შექმნილია კულტურულ/ზნეობრივი გარემო, რომლის მთავარი პრინციპია;<br>1. თავისუფლება და პასუხისმგებლობა<br>2. ერთიანობა და ერთგულება საერთო საქმის გარშემო<br>3. უსამართლობის მიუღებლობა – სამართლიანობა და გულწრფელობა<br>4. ტრადიციებისა და რწმენის პატივისცემა. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა** | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| მოსწავლეთა რაოდენობა: 350 | ექსპერტი ეთანხმება ☒ | **აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☐ | |

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

# 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ფოთის წმ. ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას შემუშავებელი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების |





| | |
|---|---|
| | მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:<br>1. სკოლის მისია<br>2. საგაკვეთილო ცხრილი<br>3. საათობრივი ბადე<br>4. გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა<br>5. ესგ-თი გაუთვალისწინებელი მომსახურეობა<br>6. სადამრიგებლო პროგრამა<br>7. სკოლის შეფასების სისტემა<br>8. სკოლის კათედრული მოწყობა<br>9. ინკლუზიური განათლება<br>სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია პედსაბჭოზე და დამტკიცებულია დაწესებულების ადმინისტრაციის უფროსის დეკანოზ თეოდორე ბასილაიას მიერ, რომელსაც სკოლის დებულებისა და წესდების მიხედვით მინიჭებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილება.<br>2022-2023 სასწავლო წელს სკოლა  სასწავლო პროცესს წარმართავს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული საათობრივი ბადის შესაბამისად , გარდა ქიმიის სწავლებისა მე-7 კლასში.  ასევე მე-5 - 12-ე კლასებში სკოლაში ისწავლება რელიგიის ისტორია. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა აღნიშნული საათობრივი ბადის შეთანხმების წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ქიმიის მიმართულებით. რაც შეეხება რელიგიის ისტორიის  სწავლებას, სკოლის ინფორმაციით აღნიშნული ცვლილება შეთანხმებულია საქართველოს საპატრიარქოს მიერ.<br>სასკოლო სასწავლო გეგმა  მოიცავს საათების განაწილებას კლასებისა და საგნების მიხედვით. სსგ-ში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობა:<br>• მკითხველთა კლუბი ქართულისა და უცხო ენის კათედრის ფარგლებში;<br>• მუსიკალური სტუდია;<br>• ხატვის წრე<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა და დამრიგებელთა მოვალეობები. სადამრიგებლო პროგრამაში არის განსაზღვრული პროგრამის მიმართულება, თემა, მიზნები, აქტივობები, ჩატარების დრო.<br>სადამრიგებლო პროგრამა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ თემატურ მიმართულებებს.<br>სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს შეფასების სისტემას, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ამასთან სკოლის მიერ დაწესებული მინიმალური ბარიერი შეადგენს 6.0 ქულას.<br>სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა აკადემიურ მხარდაჭერას დაწესებული მინიმალური ბარიერის დასაძლევად, ასევე მობილობით გადმოსული მოსწავლეებისათვის ტარდება გასაუბრება იმის დასადგენად, რა ტიპის სამუშაოებია განსახორციელებელი მოსწავლის უმტკივნეულო ტრანზიციისათვის ახალ გარემოში.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია ინკლუზიური განათლების სტრატეგია. მასში წარმოდგენილია სკოლის მზაობა განათლების ინკლუზიურობის გათვალისიწნებით, მათ შორის სსსმ მოსწავლისათვის. თუმცა ამჟამად სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. სკოლის საათობრივი ბადე თანხვედრაშია სკოლის მისიასთან .<br>სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლამ და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სსგ-ს კონცეპტუალური ნაწილი საჭიროებს მეტად დეტალიზებას და გამრავალფეროვნებას, რათა მასში მოხდეს იმ მიმდინარე პროცესების ნათლად ასახვა, რაც სკოლაში რეალურად ხორციელდება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას მიეცა რჩევა ამ მიმართულებით. შეჯამებისთვის, სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სასკოლო-სასწავლო გეგმა;<br>2. სკოლის დებულება;<br>3. მასწავლებლის პორტფოლიოები;<br>4. დამრიგებლის პორტფოლიოები;<br>5. პედსაბჭოს ოქმები;<br>6. ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2. სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. სსგ პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, ყველა კლასის დამრიგებელისათვის განსაზღვრულია სადამრიგებლო პორტფოლიოს ჩამონათვალი, როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის. დაგეგმილია კლასთან ჩატარებული ღონისძიებები/პროექტები. შექმნილი და გაზიარებულია კათედრის წევრების მიერ სემესტრული ანგარიშის ნიმუშები.<br>შექმნილია 5 საგნობრივი კათედრა, კერძოდ:<br>1. ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა.<br>2. დაწყებითი კლასების კათედრა;<br>3. უცხო ენების კათედრა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 4. საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა კათედრა;<br>5. სპორტისა და ესთეტიკის კათედრა;<br>აღნიშნულ კათედრებში გაერთიანებულია საგნობრივ ჯგუფის ყველა მასწავლებელი. ყველა კათედრას აქვს პორტფოლიო, სამუშაო გეგმა და განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი.<br>მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით ტარდება შეხვედრები, საჩვენებელი გაკვეთილები, საუბრები, პრეზენტაციები. სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი და მკითხველთა კლუბი. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა არაფორმალური განათლების მიღებას. სკოლა ეხმარება მოსწავლეებს სამომავლო პროფესიების შერჩევაში, რისთვისაც პერიოდულად ტარდება შეხვედრები უმაღლესი დაწესებულებების წარმომადგენლებთან. მშობლები ინტერვიუირებისას აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან საგანმანათლებლო პროექტებში. ესგ-ით გათვალისწინებული ცოდნისა და შესაბამისი უნარების განვითარების მიზნით აქტიურად ხორციელდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. მასწავლებელთა პორტფოლიოებში წარმოდგენილია ყველა საგნის კურიკულუმი, თემატური მატრიცები და კომპლექსური დავალებების ნიმუშები.<br>უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო კურიკულუმი შედგენილია მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით და აკმაყოფილებს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები;<br>2. კლასის დამრიგებლის პორტფოლიოები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 3. სასკოლო სასწავლო გეგმა და მისი შემადგენელი ნაწილები;<br>4. მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშები;<br>5. საგნობრივი კათედრების სხდომათა ოქმები;<br>6. პედსაბჭოს სხდომის ოქმები;<br>7. ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში არსებობს ინკლუზიური განათლების მართვის სტრატეგია, წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა, განსაზღვრულია მოსწავლის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, სტრატეგიები და მისი განხორციელების მექანიზმები, მოსწავლის სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით უზრუნველყოფის ამოცანები. სსგ მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. სკოლა თანამშრომლობს მანდატურის სამსახურთან, რომელიც აქტიურ მზაობას გამოთქვამს სკოლის მოსწავლეებთან განახორციელონ მიზნობრივი ფსიქოლოგიური შესწავლა საჭიროების შემთხვევაში. ინტერვიუს დროს გვქონდა შესაძლებლობა გავსაუბრებოდით სკოლის მშობელს, რომელიც წარმოადგენს მანდატურის სამსახურს და გამოთქვამს მზაობას მოხალისეობრივად ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 2. სკოლის დებულება;<br>3. ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან; |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები - მოსწავლის შეფასების მიზნები, ამოცანები, შეფასების რუბრიკები, კლასისა და საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი (6.0 ქულა), საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და სხვა. კლასების მიხედვით, თითოეული საგნისთვის განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა, შემაჯამებელი დავალების აღდგენის ვადები და ჩატარების წესი. წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. სკოლას მე-5 - მე-11 კლასებში დაგეგმილი აქვს წლიური გამოცდების ჩატარება, თითოეულ კლასში არა უმეტეს ორი საგნისა. გამოცდის ნიშანს გავლენა ექნება წლიურ ნიშანზე.<br>მოსწავლეთა შეფასებისათვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი, სადაც ქულის აღრიცხვაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში სასკოლო სასწავლო გეგმაში მოხდა დაკორექტირება რამდენიმე უზუსტობისა: საერთო წლიური ნიშანი და ასევე აცდენის შემთხვევაში მოსწავლისათვის ექსტერნის წესით შეფასებაში. აღნიშნული საკითხები სრულ შესაბამისობაში მოვიდა ესგ-ს მუხლი 33 -თან და მუხლი 38-თან. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა;<br>3. კათედრის სხდომის ოქმები;<br>4. ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან;<br>5. შეფასების რუბრიკები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, რომელიც გულისხმობს სკოლასა და ოჯახს შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას. ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ცნობარი და შინაგანაწესი,რომელშიც ჩამოთვლილია აქტივობები (მშობელთა კრება; საინფორმაციო ბუკლეტი/გზამკვლევი; ანკეტირება; მშობლის საათი; მშობლების მოწვევა, მოსწავლეთა პრეზენტაციებზე და კონფერენციებზე.<br>სკოლაში დაწესებულია მშობლის დღე პარასკევი). ინტრევიუების დროს მშობლება სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ დაასახელეს ეფექტური კომუნიკაცია სკოლასთან, რითაც მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. შინაგანაწესი;<br>3. დამრიგებლის პორტფოლიო;<br>4. ელექტრონული ჟურნალი;<br>5. ინტერვიუები დამრიგებლებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან, სკოლის ხელმძღვანელობასთან; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 6. სკოლის ვებ-გვერდი; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს ,,სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების, განხორციელებისა და გაუმჯობესების მექანიზმები'', რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის შეფასება. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი დაკომპლექტებულია სკოლის თანამშრომლებისგან და აწესრიგებს ამავე სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მოქმედების წესსა და პროცედურებს.<br>სკოლას შემუშავებული აქვს შუალედური მონიტორინგისა და დაკვირვების, სემესტრული და წლიური ანალიზების ჩარჩო დოკუმენტები, რის საფუძველზეც მოხდება გაანალიზება დაწესებულების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეებისა. შემუშავებულია კითხვარები, რომლის შესწავლის საფუძველზეც მოხდება სასკოლო სასწავლო გეგმის რევიზია და გადახალისება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები;<br>• მონიტორინგის ინსტრუმენტები;<br>• კითხვარები სასკოლო საზოგადოებისათვის. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **რჩევები:** | სასურველია განახლდეს სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი, სადაც ნათლად აღიწერება სკოლის სასკოლო კულტურა. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

## 2. მატერიალური რესურსი

| |
|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: |
| **ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:** 52 269 კვ.მ |
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:<br>I კორპუსი - 712.1 კვ.მ. ;<br>II კორპუსი - 628.4 კვ.მ. ;<br>III კორპუსი -857.8 კვ.მ.;<br>IV კორპუსი -15.7 კვ.მ;<br>V კორპუსი -472.3 კვ.მ;<br>VI კორპუსი -33.3 კვ.მ;<br>VII კორპუსი -20 კვ.მ; |

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლა ფუნქციონირებს ქალაქ ფოთში, გურიას ქუჩა N169 -ში მდებარე შენობაში.<br>საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სკოლის სარგებლობაში არის 7 შენობა. მიწის ნაკვეთის ფართი შეადგენს - 52 269.00 კვ.მ-ს. სკოლის შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით სკოლის შენობების ფართები შეადგენს:<br>I კორპუსი - 712.1 კვ.მ. -სასწავლო კორპუსი;<br>II კორპუსი - 628.4 კვ.მ- სასწავლო კორპუსი;<br>III კორპუსი -857.8 კვ.მ - დამხმარე კროპუსი (საწყობი);<br>IV კორპუსი -15.7 კვ.მ ;<br>V კორპუსი -472.3 კვ.მ ;<br>VI კორპუსი -33.3 კვ.მ;<br>VII კორპუსი -20 კვ.მ.<br>სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სკოლის სარგებლობაში არსებულ ორ შენობაში:<br>I კორპუსი - 712.1 კვ.მ. ;<br>II კორპუსი - 628.4 კვ.მ;<br>სკოლის ძირითადი კორპუსი არის ოთხ სართულიანი. სკოლის II კორპუსი არის ერთსართულიანი. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქალაქი ფოთი, გურიას ქუჩა N169 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | N 04.02.11.030 |
| *კვ.მ.* | 52 269.00 კვ.მ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** | • ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;<br>• შიდა აზომვითი ნახაზი;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ძირითად კორპუსში განთავსებულია 15 საკლასო ოთახი. საკლასო ოთახების საშუალო ფართობი შეადგენს 20 კვ.მ-ს. პირველ შენობაში განთავსებულია 1 კომპიუტერული ლაბორატორია, 1 გეოგრაფიის კაბინეტი, 1 ინგლისური ენის კაბინეტი; 1 სახვითი და გამოყენებით ხელოვნების კაბინეტი; 1 სამასწავლებლო, 1 ადმინისტრაციის ოთახი, 1 სპორტული დარბაზი. სკოლაში ყველა ოთახი განათებულია ბუნებრივი განათებით. სკოლის მეორე კორპუსში განთავსებულია 1 ბიბლიოთეკა, 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ოთახი; 1 სააქტო დარბაზი, 1 ექიმის ოთახი.<br>საკლასო ოთახებში განთავსებულია 360 მერხი (ერთადგილიანია) და 375 სკამი. აღნიშნული ინვენტარის ფლობის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტები. მერხებისა და სკამების ეს რაოდენობა საკმარისზე მეტია სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა რაოდენობასთან მიმართებაში. სკოლას განაცხადი გაკეთებული აქვს 350 მოსწავლეზე.<br>გარდა მერხებისა და სკამებისა საკლასო ოთახები აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფებით, კარადებით, პლაკატებით, პროექტორებით, რუკებით, ცხრილებით, ჰიგიენის დაცვის წესებით. სკოლის ფოიეში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები. ასევე ფოიეში გამოკრულია მოსწავლეთა ნახატები, სკოლის მიერ განხორციელებული პროექტების დამადასტურებელი ფოტომასალა და ნამუშევრები. სკოლას აქვს 3 პრინტერი, 3 პროექტორი, 4 ტელევიზორი, 21 კომპიუტერი. მათ შორის 2 კომპიუტერი განთავსებულია სამასწავლებლოში, 1 კომპიუტერი ბიბლიოთეკაში, 2 კომპიუტერი ადმინისტრაციაში, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 16 კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 პრინტერი კომპიუტერული ლაბორატორიაში. ასვე სკოლას აქვს 3 ლეპტოპი, რომელსაც გამოიყენებს საკლასო ოთახებში სხვადასხვა პროექტებისა და პრეზენტაციების განსახორციელებლად.<br>STEM ლაბორატორია აღჭურვილია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით: რეოსტატი, მულაჟები, მიკროსკოპი, თვალსაჩინოებები, გამწოვი კარადითა და ხელსაბანი ნიჟარით.<br>ძირითადი შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი. სკოლა ხშირ შემთხვევაში სპორტულ დარბაზს იყენებს<br>სააქტო დარბაზად ღონისძიებების დროს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ნასყიდობის ხელშეკრულებებით;<br>• ანგარიშ-ფაქტურებით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;<br>• შიდა აზომვითი ნახაზი . |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის პირველ შენობაში განთავსებულია სპორტული დარბაზი, რომელშიც განთავსებულია სპორტული ინვენტარი: კალათბურთის 2 ფარი, მინი ფეხბურთის ორი კარი, სავარჯიშო ლეიბები, სავარჯიშო ბაგირი, 2 შვედური კედელი, 1 ჩოგბურთის მაგიდა, 4 ცალი ჩოგბურთის ჩოგანი, ლახტები, ჰულაჰუპები, კალათბურთისა და ფეხბურთის ბურთები.<br>სპორტულ დარბაზს აქვს 1 გასახდელი.<br>სკოლა აღნიშნულ სპორტულ დარბაზს და იქ განთავსებულ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინვენტარს /რესურსებს იყენებს საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სპორტული ინვენტარის შეძენის დოკუმენტაცია;<br>• ინტერვიუ სკოლის დირექციასთან;<br>• ინტერვიუ სპორტის მასწავლებელთან;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის მეორე კორპუსში განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია მერხებით, სკამებით, დაფებით, გამწოვი კარადითა და ხელსაბანი ნიჟარით. ოთახის კედლებზე გამოკრულია თვალსაჩინოებები, დახურულ კარადებსა და თაროებზე განთავსებულია მიკროსკოპი, სინჯარები, კოლბები, მულაჟები, ქიმიური რეაქტივები, გამწოვი კარადა და ხელსაბანი ნიჟარა. ასევე შესაძლებელია ლაბორატორიის ბუნებრივი განიავებაც ფანჯრების საშუალებით. ამ ოთახში ლაბორატორიული მეცადინეობები ტარდება საგაკვეთილო<br>ცხრილის შესაბამისად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელიდოკუმენტაცია;<br>• გასაუბრება სკოლის საბუნებისმეტყველო საგნებისპედაგოგებთან. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ელექტროენერგიით და წყლით უწყვეტი უზრუნველყოფა ხორციელდება საქალაქო ქსელიდან. სკოლას აღნიშნული მომსახურეობები მიეწოდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან, „ეპე ჯორჯია“-დან. საკლასო ოთახები ნათელია და აქვთ ბუნებრივი განათება. სკოლის შენობის გათბობა ხდება ცენტრალური გათბობის საშუალებით. შენობაში მოწყობილია გოგონების, ბიჭების, სსსმ<br>მოსწავლის და მასწავლებლის სველი წერტილები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც სკოლის მეორე კორპუსშია განთავსებული.<br>თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკითა და სამუშაო განრიგი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 14 მაგიდა 16 სკამი. ბიბლიოთეკაში არის ერთი კომპიუტერი, რომელსაც მიეწოდება ინტერნეტი და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის ასევე მასწავლებლებისათვის. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბიბლიოთეკას აქვს ანბანური კატალოგი. საინვენტარო წიგნის მიხედვით ბიბლიოთეკაში განთავსებულია 2985 ერთეული წიგნადი ფონდი, რომელშიც შედის მხატვრული ლიტერატურა, მეთოდური ლიტერატურა და კლასების მიხედვით გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების თითო-თითო ეგზემპლარი. ასევე ბიბლიოთეკაში განთავსებულია 56 სასწავლო დისკი სხვადასხვა საგნებში (ინგლისური ენა, ქართული ენა, სამოქალაქო განათლება). ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. წიგნებზე სათანადო ადგილას დასმულია სკოლის ბეჭედი და საინვენტარო ნომრები მინიჭებული აქვს. წიგნების გატანა/ მოტანის აღირიცხვისათვის ბიბლიოთეკაში შექმნილია მკითხველთა ფორმულარები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან;<br>• ბიბლიოთეკის დებულება;<br>• საინვენტარო წიგნი;<br>წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. ძირითადი შენობის შესასვლელ კიბესთან და ძირითადი შენობის შიგნით, ერთ მხარეს, სამი სართულის შიდა კიბეებზე მოწყობილია პანდუსები (ასაკეცი). სკოლაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია სპორტულ დარბაზთან დამაკავშირებელ კიბეზე პანდუსის მოწყობის, რომელიც ვიზიტის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პერიოდშივე განხორციელა სკოლამ და მოეწყო ასაკეცი პანდუსი. სკოლის შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილი შშმ პირებისთვის.<br>ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• სკოლის დირექტორთან გასაუბრება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს 21 კომპიუტერი, 3 ლეპტოპი, 3 პრინტერი, 3 პროექტორი და 4 ტელევიზორი. მათ შორის 2 კომპიუტერი განთავსებულია სამასწავლებლოში, 1 კომპიუტერი ბიბლიოთეკაში, 2 კომპიუტერი ადმინისტრაციაში,<br>16 კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 პრინტერი კომპიუტერული ლაბორატორიაში, 1 პროექტორი სააქტო დარბაზში, 1 პროექტორი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, 4 მონიტორი საკლასო ოთახებში, 1 პრინტერი საქმისმწარმოებელის ოთახში, 1 პრინტერი და 3 ლეპტოპი ბიბლიოთეკაში, რომელსაც გამოიყენებს საკლასო ოთახებში სხვადასვა პროექტებისა და პრეზენტაციებისათვის. თითოეული კომპიუტერი უზრუნველყოფილია ინტერნეტით და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის ასევე სკოლაში არსებული ისტ ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.<br>სკოლას აქვს ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი, რომლიც გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად და კომუნიკაციისათვის. სკოლას ინტერნეტი მიეწოდება მაგთიკომისგან. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ხელშეკრულებები;<br>• ანგარიშფაქტურები;<br>• მიღება-ჩაბარების აქტები;<br>• ვებგვერდის დომენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. სკოლის ორივე შენობაში, ყველა სართულზე, განთავსებულია ცეცხლმაქრები - სულ 15 ცეცხლმაქრი და 1 სახანძრო დაფა. ცეცხლმაქრების რაოდენობა სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისია. საევაკუაციო გეგმა განთავსებულია შენობის თითოეულ სართულზე, რომელიც აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შეფასებისას აღმოჩნდა, რომ მე-4 სართულის მოაჯირზე არ იყო დაცული უსაფრთხოების ნორმები. ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია მოაჯირზე მავთულბადის დამატების, რაც ვიზიტის პერიოდშივე განხორციელდა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ცეცხლმაქრების შესყიდვის დოკუმენტებია;<br>• დირექტორთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ორივე კორპუსში ( სართულებზე) თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საევაკუაციო გეგმები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს ექიმი, რომლის დიპლომითაც დადასტურდა მისი კვალიფიკაცია. სკოლას აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტები, სამედიცინო დანიშნულებით გამოყოფილია ცალკე ოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით - სამედიცინო კარადით მედიკამენტებისთვის, სამედიცინო საწოლით, ექიმის მაგიდით. სკოლის ექიმი აწარმოებს ჩანაწერების წიგნს, რომელშიც აღნიშნულია ვინ, როდის რა ჩივილით მიმართ და რა დახმარება გაეწია. ექიმის მოვალეობები გაწერილია მის ხელშეკრულებაში. გარდა ამისა, ექიმი და დირექტორი ატყობინებენ მშობელს ყოველ საგანგებო სიტუაციას და მოქმედებენ კოორდინირებულად. სკოლის სამედიცინო მომსახურების მექანიზმი შესაბამისობაშია 2022 წლის 21 მარტის N41/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის ფუნქციონირების წესთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ექთანის ხელშეკრულება;<br>• მიღება-ჩაბარების აქტები.<br>• ჩანაწერების წიგნი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით სკოლაში მორიგეობენ მასწავლებლები. სკოლას ასევე ჰყავს 2 დარაჯი. სკოლას შემუშავებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებისა და პირობების პროექტი, რომელსაც სკოლა შესათანხმებლად წარუდგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების პროექტი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ვიზიტის პერიოდში დამონტაჟებული იყო 10 გარე კამერა და 13 შიდა კამერა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია ორივე კორპუსში 15 კამერების დამატების, კერძოდ, I კორპუსის ოთხივე სართულზე, 3-3 კამერის დამატების (სულ 12 კამერა) და II კორპუსში 2 შიდა კამერისა და 1 გარე კამერის დამატების. სკოლამ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში განახორციელა კამერების შესყიდვა და კამერების დამონტაჟება.<br>გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის კანონს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტია;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• დირექტორთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებას ეფექტურად ფუნქციონირებისათვის შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტაცია. სკოლის წესდება, შინაგანაწესი, სკოლის დებულება, ხარისხის უზრუნველყოფის დებულება, ბიბლიოთეკის დებულება. სკოლის წესდებით განსაზღვრულია: სკოლის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი; სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის ორგანოების; დამფუძნებელთა საბჭოს უფლებამოსილება; სკოლის დირექციის უფლება-მოვალეობები; სკოლის პედაგოგიური საბჭოს უფლება მოვალეობები; მოსწავლეთა თვითმმართველობის უფლება მოვალეობები; დისციპლინარული კომიტეტის შექმნის წესი; სკოლის ქონების, დაფინანსების, ანგარიშგებისა და საბუღალტრო აღრიცხვის წესი; სკოლის რეორგანიზაციის, ლიკვიდაცია და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი. რის საფუძველზეც არის შექმნილი დანარჩენი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;<br>• სკოლის წესდება;<br>• სკოლის დებულება;<br>• სკოლის შინაგანაწესი |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს 6 წლიანი სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმები. 6 წლიან გეგმაში წარმოდგენილია სასწავლო პროცესის მუდმივი გაუმჯობესება, სკოლაში დასაქმებულ პირთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, სასკოლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება/გაუმჯობესება, სკოლის ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლება, სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესება. თითოეული მიზანი გაწერილია ვადებში და მინიშნებულია პასუხისმგებელი პირები. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმასთან. თითოეული სტრატეგიული მიზნისა და ამოცანის შესაბამისი აქტივობები გაწერილია ერთი წლის კალენდარში, ასევე ჩაშლილია პასუხისმგებელი პირებიც. სკოლას წარმოდგენილი აქვს SWOT ანალიზი სადაც განხილულია სკოლის ძლიერი მხარეები, სუსტი მხარე, საფრთხეები, შესაძლებლობები, რის საფუძველზეც |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შემუშავებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • SWOT ანალიზი;<br>• 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა;<br>• ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში შემუშავებულია ერთიანი საქმისწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან. წესის თანახმად მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. კორესპონდენციები დანომრილი და ზონარგაყრილია. ისინი დამოწმებულია დირექტორის ბეჭდით:<br>• საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• მოსწავლეთა ჩანაწერის ანბანური წიგნი;<br>• შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;<br>სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია ასევე ადამიანური რესურსის პირადი საქმეების წარმოებაზე. მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმის წარმოების ერთიანი წესი;<br>• საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• მოსწავლეთა ჩანაწერის ანბანური წიგნი;<br>• შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;<br>გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის 2022- 2023 წლის სასკოლო გეგმის უზრუნველსაყოფად კონკურსის წესით შერჩეულია 29 მასწავლებელი, მათ შორის 18 უფროსი და 11 უსტატუსო მასწავლებელი. ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რეკომენდაცია გამოაცხადონ კონკურსი აღნიშნული 11 უსტატუსო მასწავლებლის ჩასანაცვლებლად. სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და გამოაცხადა კონკურსი teachersjobs.ge-ზე.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავენ სკოლის გენერალური დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, საქმის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, ექიმი, ფსიქოლოგი, უსაფრთხოების მენეჯერი, იურისტი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, მძღოლი, 3 დამლაგებელი, 2 დარაჯი.<br>სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია დებულებაში. მასწავლებელთა რესურსი საკმარისია სასკოლო საათობრივი ბადით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება.<br>სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად ჯამში ჰყავს 38 თანამშრომელი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;<br>• Eschool ბაზით;<br>• სტრუქტურული ერთეულების დებულება;<br>• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო საათობრივი ბადე;<br>• საშტატო განრიგი; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 29 |
| მოწვეული/მაძიებელი | - |
| უსტატუსო | 11 |
| უფროსი მასწავლებლი | 18 |
| წამყვანი მასწავლებლი | - |
| მენტორის სტატუსი | - |

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ კანონის, ესგ-ს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტის N 174/ნ ბრძანების შესაბამისად. შერჩევის პროცესში მასწავლებლებს მოეთხოვებათ დოკუმენტების პირობების გაცნობა. სკოლაში უსტატუსო მასწავლებლის ( 11 მასწავლებელი) ხელშეკრულება დარეგულირებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 174/ნ ბრძანებით, რომლის საფუძველზეც მასწავლებელს ვალდებულება აქვთ ხელშეკრულების დადებიდან 2 წლის განმავლობაში დარეგისტრირდნენ და ჩააბარონ კომპეტენციის დადასტურების საგნობრივი გამოცდა.<br>სკოლის მასწავლებლების პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დიპლომი, სერტიფიკატი, მასწავლებლის CV და ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი ცნობა. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელ ცნობა სკოლის პერსონალის ნაწილს მიღებული აქვს და ნაწილს ( 9 მასწავლებელი) გაკეთებული აქვს განაცხადი და ელოდება შესაბამისი ცნობის მიღებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეები;<br>• განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის ბაზა;<br>ხელშეკრულებები |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, სადაც გაწერილია მასწავლებელთა შერჩევის წესი, სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება შიდა და ღია კონკურსის გზით საქართველოს განათლების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. შინაგანაწესში გაწერილია კონკურსის გამოცხადების პირობები, გამოცხადების საჯაროობის უზრუნველყოფის პირობები, კანდიდატისთვის წამოყენებული პირობები და წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი. ასევე განსაზღვრულია ასევე, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები.<br>შინაგანაწესი არეგულირებს თანამშრომლების წახალისების ფორმებს. ასევე შინაგანაწესი მკაფიოდ განსაზღვრავს დასაქმებულ პირთა დისციპლინურ გადაცდომათა ნუსხას და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს.<br>შინაგანაწესით გათვალისწინებულია მასწავლებლის და თანამშრომლის მიღების წესი.<br>განხილული საკითხები ასევე გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რაც ადასტურებს არსებული რეგულაციების გამჭვირვალობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის შინაგანაწესი;<br>თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| |
|---|
| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათთვის ცნობილია ხელშეკრულების პირობები.<br>სკოლას 2022 წელს ივნისში გაფორმებული აქვს მასწავლებლებთან უვადო/ერთწლიანი/ორწლიანი შრომითი ხელშეკრულებები, რომლის შინაარსსაც წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შრომითი ხელშეკრულებები;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• პირადი საქმეები;<br>• სკოლაში დასაქმებულ პირებთან ინტერვიუ; |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას გააზრებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების პირდაპირი გავლენა სწავლება/სწავლის ხარისხზე და შესაბამისად, მისთვის მნიშნელოვან ამოცანას წარმოადგენს მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა, სოციალიზაცია, შეფასება, მოტივირება, პროფესიული განვითარება და შენარჩუნება. სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა დაფუძნებულია პერსონალის ძირითადი საჭიროებების განსაზღვრასა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაზე.<br>ადამიანური რესურსის მიზნობრივი და პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ახდენს თანამშრომელთა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საჭიროებების გამოვლენას კვლევების საფუძველზე, კერძოდ მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების დროს მასწავლებლის მიერ დაგეგმილ და მართულ პროცესს აფასებენ სხვადასხვა მიმართულებით. ესენია: გაკვეთილის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა, გამოყენებული სწავლების სტარტეგიებისა და მეთოდების შესაბამისობა გაკვეთილის მიზნებთან, მოსწავლეების ჩართულობას საგაკვეთილო პორცესში, კლასის მართვას, შეფასების სისტემის ეფექტიან გამოყენებას, გაკვეთილის მიზნების ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობას. თუ მასწავლებელთა საჭიროებების კვლევამ გამოავლინა, რომ სასწავლო პროცესს მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეული მიმართულებით პროფესიულ განვითარებას, ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით სკოლა იღებს ვალდებულებას რომ უზრუნველყოს მასწავლებლების პროფესიული განვითარება. მიზნიდან გამომდინარე, სკოლა გეგმავს სხვადასხვა შეხვედრებსა თუ ტრენინგებს.<br>სკოლაში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება.<br>სამსახურის მიზანია სკოლაში სასწავლო მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, შეფასების საფუძველზე ვითარების გაუმჯობესების ან დამაკმაყოფილებელი ვითარების შემთხვევაში, მისი შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.<br>გასაუბრების დროს პედაგოგები აქტიურად საუბრობდნენ სკოლის ფარგლებში თანამშრომლობაზე, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით გამართულ შეხვედრებზე. სკოლაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას.<br>მასწავლებელთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების ანალიზისას და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პროფესიული განვითარების მიმართულებით, მასწავლებლების გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგი, გარდა მასწავლებლებისა, ტრენინგი გავლილი აქვს სკოლის ბიბლიოთეკარს თემაზე ,,სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის ორგანიზება“. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარებისა და მართვის მექანიზმების დოკუმენტი;<br>•სკოლის ხარისხის განვითრებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;<br>•მასწავლებელთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები;<br>•სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერვიუირებისას (მასწავლებლები, ადმინისტრაცია, ტექპერსონალი, მოსწავლეები, მშობლები) აღნიშნავენ, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი, მზრუნველი და კეთილგანწყობილი გარემო. როგორც მოსწავლეები ასევე მასწავლებელი განმარტავენ რამდენად თბილ გარემოში უწევთ თანამშრომლობა, თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესაძლებლობა. მათი ნებისმიერი ინიციატივა ხელშეწყობილია. ადმინისტრაციის მხრიდან. იგრძნობა, რომ თითოეული წევრი მნიშვნელოვანი რგოლია საგანმანათლებლოპროცესში.<br>გასაუბრების დროს მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა წამოაყენონ სხვა და სხვა ინიციატივა, რომლებიც ძირითადად მხარდაჭერილია. მათი ინიციატივით საინტერესო პროექტები განხორციელდა სკოლაში.<br>სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად ინტერესდება სასკოლო საზოგადოების კმაყოფილებით და სასკოლო კლიმატით, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობითი ატმოსფეროს<br>შექმნას.<br>მშობლები და მოსწავლეები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებით მოსწონთ განსხვავებული საგანის - საღვთო სჯულისა და ბიბლიის სწავლება, რომელიც მათივე თქმით ზღაპარივით არის და ძალიან საინტერესოა. მათი თქმით აღნიშნული საგნების სწავლება მიმართულია ღირსეული, სამშობლოს მოსიყვარულე, ტოლერანტი და ღვთის მოშიში მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მოსწავლეების მიერ განხორციელებული აქტივობები;<br>• ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br>• ინტერვიუ მშობლებთან;<br>• ინტერვიუ მოსწავლეებთან;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• Facebook გვერდი. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

**XI. თანდართული დოკუმენტაცია**

თბილისი 19.12.2022

გვერდების რაოდენობა 42

42

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.